

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის

საბჭოს თავმჯდომარეს

ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG)

განცხადება

(საქმისწარმოების დაწყების შესახებ)

მოგმართავთ 2017 წლის 2 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იბერია“ ეთერში გადაცემა „პრიორიტეტი“ გაჟღერებულ ფრაზასთან დაკავშირებით.

მივიჩნევთ, რომ აღნიშნულ გადაცემაში ტელეკომპანია „იბერია“-ს ჟურნალისტის, მაკა რაზმაძის მიერ დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპი.

მოგმართავთ, რათა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქარტიის შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შეისწავლოთ/განიხილოთ დარღვევის ფაქტი.

პერსონალური/პროფესიული მონაცემები ჟურნალისტის/რედაქტორის, რომელმაც შესაძლოა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტით აღიარებული პრინციპები

ტელეკომპანია „იბერია“ (მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქუჩა 41; საკონტაქტო ნომერი: (+995) 32 2 29 49 49) ჟურნალისტი – მაკა რაზმაძე.

კონკრეტული ფაქტების/გარემოებები, რაც განმცხადებლის აზრით, ადასტურებს ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევას

2017 წლის 1 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იბერია“-ს ეთერში გავიდა გადაცემა „პრიორიტეტი“, გადაცემაში რესპოდენტის, დავით ახრახაძის მიერ გაჟღერებულ იქნა ფრაზა: „ინტერვიუს პიდარასტებიც აძლევენ“. გადაცემის წამყვანის მაკა რაზმაძის მხრიდან რესპოდენტის ფრაზას არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება.

ჩვენი შეფასებით, გადაცემის ეს ეპიზოდი ხელს უწყობს ლგბტი ადამიანების სტიგმატიზებას და შესაბამისად, ახდენს მათი დისკრიმინაციის წახალისებას.

განმცხადებლის პირადი მოსაზრება/განმარტება თუ რატომ მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია ქარტიის პრინციპები

პრინციპი 7

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური

ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

ქართის საბჭომ არაერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა მეშვიდე პრინციპის დარღვევას, მათ შორის გადაწყვეტილებაში საქმეზე – „თანასწორობის მოძრაობა ინგა გრიგოლიას წინააღმდეგ“ აღნიშნა: „მეშვიდე პრინციპი ჟურნალისტს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას. კერძოდ, ჟურნალისტი არა მხოლოდ თავად არ უნდა იყოს დისკრიმინაციული განცხადებების და ზოგადად დისკრიმინაციის წყარო, არამედ ყველა ღონე უნდა იხმაროს სხვა პირთა დისკრიმინაციული განცხადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის შემცველი მოსაზრება შესაძლებელია ჟურნალისტურ მასალაში მოხვდეს იმ შემთხვევაში, როდესაც გაშუქების მიზანია იმის ჩვენება თუ რა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიით საუბრობს საჯარო პირი ან/და ასეთი განცხადება კეთდება პირდაპირ ეთერში. ასეთ დროს ჟურნალისტმა მაშინვე ცხადად უნდა დააფიქსიროს, რომ დისკრიმინაციული ტერმინოლოგია/დამოკიდებულება არის მიუღებელი როგორც მისთვის, ისე მედიასაშუალებისათვის“.

ამავე გადაწყვეტილებაში საბჭომ მიუთითა საქმეზე „ბექა გაბადაძე თეა ადეიშვილის წინააღმდეგ“, სადაც ლგბტი თემისათვის მიუღებელი ტერმინოლოგიის გამოყენებას ეხებოდა. საქართველოში მცხოვრები ლგბტი თემის წევრები განიცდიან სისტემურ დისკრიმინაციას, რაც ასევე მოიცავს მათ მიმართ ღირსების შემლახავი და დამამცირებელი ტერმინების გამოყენებას. საზოგადოებაში გავრცელებულია მრავალი ჰომოფობიური ტერმინი ლგბტი თემის წევრთა დასახასიათებლად. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეურაცხმყოფელი ტერმინია „პიდარასტი“. ამ ტერმინის გამოყენება განსაკუთრებით ხშირია ჰომოფობიურად განწყობილი ადამიანების მიერ, რომლებიც არ ერიდებიან კონტექსტის გარეშე გამოხატონ საკუთარი დისკრიმინაციული დამოკიდებულებები ლგბტი თემის წევრთა მიმართ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სადავო მასალაშიც.

მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტმა მაკა რაზმაძემ რესპოდენტის შეურაცხმყოფელი გამონათქვამის იგნორირებით ხელი შეუწყო ლგბტი თემის წევრთა მიმართ არსებული სტიგმის გაძლიერებას. ჩვენი შეფასებით, ჟურნალისტს რესპოდენტის კომენტარზე საპასუხოდ უნდა გაეკეთებინა შენიშვნა და მკაფიოდ დაეფიქსირებინა მისი და მთლიანად მედია საშუალების პოზიცია, რომ გადაცემის ეთერში ამგვარი ჰომოფობიური შინაარსის კომენტარების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

სოციალური სტიგმა ლგბტი ადამიანებს კიდევ უფრო მარგინალიზებულს ხდის საზოგადოებაში და ახდენს მათი დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის წახალისებას. ეთიკის საბჭომ, გადაწყვეტილებაში საქმეზე „PHR გია ჯაჯანიძის და მათი სტეფანაძის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ სტიგმატიზირება/სტიგმის გაძლიერება ჟურნალისტური ეთიკის მიზნებისათვის დისკრიმინაციის სახეა“.

სასურველია დანართი – აუდიო ან/და ვიდეო ან/და ბაჭდური ფორმით არსებული მასალა ან ბმული, სადაც ასახულია ის ფაქტები/გარემოებები, რასაც ეფუძნება განცხადება

ტელეკომპანია „იბერია“-ს ჟურნალისტის – მაკა რაზმაძის მიერ მომზადებული 2017 წლის 1 ოქტომბრის გადაცემის პრიორიტეტის ნაწყვეტი“ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=m9WDpKB0BE>

პატივისცემით,

ქეთი ბახტაძე

იურისტი

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG)

განმცხადებლისათვის ცნობილია, რომ განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.